

საკონსულტაციო მომსახურება (ენერგეტიკის სექტორი - გაზსაცავი)
საერთაშორისო საჯარო ტენდერი (წინასაკვალიფიკაციო მოწვევასთან ერთად)

ქვეყანა: საქართველო

საიდენტიფიკაციო ნომერი: BMZ-No.: 209 918 129

სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა: 11 დეკემბერი, 2017 (ადგილობრივი დროით 15:00 საათი)

წინასაკვალიფიკაციო მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე ეტაპი:

საგანი: ღია საერთაშორისო ტენდერი საქართველოში სამგორის სამხრეთ თალზე (SSD) მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისთვის (UGS) (პროექტი) საკონსულტაციო მომსახურებაზე.

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია (PEA): საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (სნგკ)

დავალების აღწერილობა:

კონსულტანტს ევალება გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური ზემოქმედების ანალიზის შემუშავება და პროექტთან დაკავშირებული სხვა კვლევების უზრუნველყოფა, აგრეთვე კვლევითი ფაზის დროს გარემოს, სოციალური, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების (ESHS) საკითხებთან დაკავშირებული სამუშაოების მონიტორინგი და ზედამხედველობა პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის. პროექტი იყოფა ორ ფაზად და მოიცავს შემდეგ სავარაუდო ვადებს:

- ფაზა 1 - კვლევის ფაზა: 2018 შუა პერიოდიდან – 2019 შუა პერიოდამდე.
- ფაზა 2 - მშენებლობის საბოლოო ფაზა (განხორციელების ფაზა): 2019 წლის ბოლო (განხორციელების ფაზის დასრულების შემდეგ, ამას დამატებული 2-თვიანი გადაწყვეტილების მიღების პერიოდი) – 2021 (ჩაჭირხვნა ექსპლუატაციის მიზნით)

საკონსულტაციო მომსახურება დაიყოფა ორ ლოტად:

- **ლოტი 1:** ESIA კვლევითი ფაზისთვის და HSE მენეჯმენტი (მონიტორინგი და ზედამხედველობა) კვლევითი ფაზის დროს.
- **ლოტი 2:** განხორციელების ფაზის დროს ESIA-ს განახლება.

ლოტი 2 არის სავალდებულო ოფცია, რაც იმას ნიშნავს რომ პრეტენდენტებს აუცილებლად მოეთხოვებათ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ორივე ლოტზე.

იმ შემთხვევაში, თუ კვლევითი ფაზა წარუმატებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ პროექტი არ არის გამართლებული და ის ვერ შესრულდება, ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურების შესახებ გაწყდება 1-ლი ფაზის (კვლევითი ფაზა) დასრულების შემდგომ. ეს გულისხმობს, რომ საკონსულტაციო ხელშეკრულების ლოტი 2 არ შევა ძალაში.

პროექტთან დაკავშირებით დამატებითი და უფრო დეტალური ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია კონსულტანტის მომსახურების არეალის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ დოკუმენტში სახელწოდებით „ინტერესის გამოხატვა“.

ხელშეკრულების

გაფორმება:

საკონსულტაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება იგეგმება 2018 წლის მარტში/აპრილში, მობილიზაციის მოლოდინით მოკლე ვადაში.

კონსულტანტის დავალების ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოვებით 18-24 თვეს.

საკონსულტაციო მომსახურებასთან დაკავშირებული პრეკვალიფიკაციის პროცესისას სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობით კონსულტანტების შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპების“ უახლესი ვერსია (გთხოვთ იხილოთ KfW განვითარების ბანკის მთავარი გვერდი შემდეგ მისამართზე <https://www.kfw-entwicklungsbank.de/Download-Center/PDF-Dokumente-Richtlinien/Consulting-E.pdf>).

საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად შეირჩევა დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც ექნება მსგავს პროექტებში გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშების შემუშავებისა და სხვა მასთან დაკავშირებული კვლევის ანგარიშების შემუშავების დადასტურებული გამოცდილება. სასურველია საკონსულტაციო

კომპანიები, რომელთან გააჩნიათ რეგიონული გამოცდილება საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპაში და დსთ-ს ქვეყნებში. ამასთანავე, პრეტენდენტის საშუალო წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს 2.0 მილიონ ევროს ბოლო სამი წლის მანძილზე. კონსორციუმის ან ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, საჭიროა საშუალო წლიური 3.0 მილიონი ევროს ოდენობის ბრუნვის წარმოდგენა ბოლო სამი წლის მანძილზე, სადაც წამყვანი პარტნიორის საშუალო წლიური ბრუნვა იქნება 1.7 მილიონ ევროზე მეტი.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სანტენდერო აგენტის მიერ მისი მოთხოვნის შემთხვევაში. გთხოვთ, სანტენდერო აგენტთან ნებისმიერი თხოვნის ან კორექსონდენციის წარმოების დროს, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (PEA)-ს პასუხისმგებელი პირი აუცილებლად ჩასვას CC-ში.

სანტენდერო აგენტი: Uwe Settelmaier, Dipl. Ing. (FH)
Mühlenweg 23
68549 Ilvesheim
E-Mail: uswebmail@gmx.de

პროექტის განმახორციელებელი

ორგანიზაცია (PEA): Georgian Oil and Gas Corporation (GOGC)
Imeda Kakhiani
Deputy Financial Director
UGS Project Manager
Address: 21 Kakheti Highway, Tbilisi, 0190, Georgia
E-Mail: i.kakhiani@gogc.ge